ეროვნული ბიბლიოთეკა

თეატრი და ცხოვრება

სათეატრო სალიტერ. ჟურნალი

№ 34—1917	წელ. მეხუთე	ფასი
კვირა მარიობ. 27.	გამოცემისა.	25 კ.

ილია ჭავჭავაძე
(1837—1907—1917) გარდაცვალებიდან
ათი წლის შესრულების გამო.

გაზაფხული

ტყემ მოისხა ფოთოლი,
აგერ მერცხალი ჭყივის,
ბ ღში ვაზი ობოლი
მეტის ცრემლითა სტირის.

აყვავებულა მდელო,
აყვავებულან მთები,
მამულო საყვარელო
შენ როსღა აყვავდები!

ილია ჭავჭავაძე

1860 წ.

კიტა აბაშიძე
ავადმყოფობის გამო.

ძუკუ ლოლუა და ი. გრიშაშვილი.
კონცერტებს გამართავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიამობისთვის 27.

სამშობლოს სადიდებლად! ძველი რუსეთი ირღვევა... ირღვევა მისგან შექმნილი სამხედრო, სამოქალაქო, საეკლესიო წყობილება.

ძველმა რუსეთმა თავისუფლად შეერთებულ ანუ დამორჩილებულ ერებს ბევრი შხამსამსალა შეასვა.

მოთმინების ფიალა აღივსო და გადმოხეთქა...

ყველა ჩაგრულმა ერმა დღეს თავისუფლად უნდა ამოისუნთქოს, მონობის უღელი მოიშოროს და სრულუფლებიან ერად იქცეს.

ამისათვის საჭიროა თვითმოქმედების უნარი. საკუთარი ფეხის გამოჩენა.

შუღლი და განხეთქილება დროებით მაინც უნდა უარვყოთ-

არა მხოლოდ ლუკმითა ცხონდების კაციო,—საჭიროა ჩვენი ეროვნულ-ხალხოსნურ ცხოვრების ყოველი მხარე ხელთ ვიგდოთ.

ყველაზე მეტად დღეს ჩვენი სოფელია დარღვეული. ბევრ ადგილას პარტიულ მისწრაფების გამო უღირსი ადამიანებია გაბატონებული, ღირსეულნი—განდევნილი.

ეს წინადაც შეგვინიშნავს.

დადგა დრო, ეს შეცდომა გავასწოროთ და სოფლის საქმე ჩავაბაროთ პარტიულობის მიუხედავად, სოფლის მცოდნე გულშემატკივარს.

სამშობლოს სადიდებლად ყოველივე პირადული და პარტიული უნდა უარვყოთ და ყველგან შევერთდეთ!

ამას გვავალებს რევოლიუცია, ჩვენი სამშობლო და დემოკრატიის გამარჯვება!..

ქართული კლუბი

გადაარქვეს. იყო, „ახალი კლუბი“, გადაიქცა, ქართულ კლუბად“, მაგრამ ფაქტიურად იგი ისევ რუსული კლუბია და არა ქართული. ქართული მას არა ემჩნევა, გარდა ორიოდე ქართულ წარმოდგენების, ისიც უიდეო და ფუჭი ვოდევილების, დანარჩენი კი: ოპერეტა, ოპერა, დრამა, მუსიკა სულ რუსული.

მაგრამ რაც აქამდინ იყო, ღმერთმა აპატიოს კლუბის მამასახლისებს და აწი რას ჰფიქრობენ?

თურმე საზამთროდ აწყობენ რუსულ ოპერის დასს. ეგ პირდაპირ დაცინვაა. რუსულ ოპერის წინაღმდეგ არავინ მიდის, პირიქით ჩვენ დიდი სიამოვნებით ვუსმენთ რუსულ ოპერას. მაგრამ ქართულ კლუბის მესვეურებს უწინარეს უნდა ეფიქრათ ქართულ ოპერის მოწყობაზე. განა არ მოიძებნებიან ქართული საოპერო მსახიობნი? შულგინისა აგასოვისა, სარაჯიშვილი, ლეჟავა, ლორთქიფანიძე, ჰუმბურიძე, აგასოვი. კურბატოვი და ბევრი სხვა? ეხლა რუსეთში რამდენია ქართველი მომღერლები დაფანტული? განა არ გვყავან ჩვენც ლოტბარ-კომპოზიტორები, როგორც: და. არაყიშვილი, ზ. ფალიაშვილი, სულხანიშვილი, ბალანჩივაძე, ფოცხვერაშვილი? განა არა გვაქვს ჩვენი საკუთარი ოპერები? რამდენიც გნებავდესთ. მაგრამ ყველა ამაზე კლუბის მესვეურნი მიპასუხებენ, რომ ჩვენ ანტრეპრნეიორები არა ვართო. დალოცვილები, თუ კი რუსულ ოპერის ანტრეპრენიორობას თავობენ და აუარებელ ფულს ხარჯამენ, ქართულმა რა დააშავა? რა ღირს ქართულ ოპერის „აბესალომ და ეთერის“ ან „პატარა კახის“ ყურება.

ორკესტრი კლუბისა? განა ქართულ კლუბის ორკესტრს არ შეუძლია მობეზრებულ ვალსების მაგიერ, შეასრულოს ქართული მუსიკალური ნომრები? განა ჩვენს კომპოზიტორებს ჩვენი მუსიკა ცოტა აქვთ გადაღებული ნოტებზე?

ქართული წარმოდგენები? განა ეგ წარმოდგენებია, ჩვენ რომ უყურებთ კლუბის სცენაზე? ეგ ხომ ხელოვნების ძირს დაცემაა. ჩაციებიან ქართულ მსახიობებს, გინდა თუ არა სამასხარავო ვოდევილები ითამაშეთო. ამითი ქართული მსახიობნი უაზრო ვოდევილების თამაშით თავის ნიჭსაც იფუჭებენ და ჩვენს ესთეტიურ გემოვნებას სრულიად არ აკმაყოფილებენ. საჭიროა ამას დიდი ყურადღება მიექცეს. მოგვაშორეთ უაზრო ოპერეტები და მეტი ხარჯი გასწიეთ ქართულ სას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენო ხელოვნებაზე, დაგვანახვეთ ნამდვილი ქართული წარმოდგენები. ამას ბევრი ფული არ დასჭირდება. უნდა გიფიქოთოვდეს საზამთრო კლუბის სცენა და კლუბი თავის შემოსავლით ყოველთვის დაფარავს ხარჯს. სამაგეროოდ შესაძლებელი იქნება მხატვრული პიესების დადგმა.

ყველგან ვრცელდება ნაციონალიზაცია და ჩვენს კლუბს კი არ შეეტყო არაფერში. საქიროა ზემოხსენებული წინადადებები მიღოთ მხედველობაში და გადადგათ ნაბიჯი მის განსახორციელებლად ან და სიტყვა ქართველი წაშლეთ და დაარქვით „ეროვნულ-ფუდუფული კლუბი“.

ს. წერეთელი

სამშობლოს

ჩემო სამშობლოვ, ამბავმე დ კიბისრე.
ნუ თუ არ გეკო რაც აქმედ ცრემლები დვარე!
ზეზე წამოდექ. კიბმართე წყლში ამაკდ,
სამშობლოვ ტკბილი სიბრძოლეკდ კიმდი
კარე..
ნუ თუ არ გეკო, რაც აქმედ გოედის, გაწამეს,
ნუ თუ არ გეკო რაც ეეურე ეკუნეკო დიმეს?
დდეს დიბიდკ დდე სიმარდოვის თქმის, დდე
კანახვეკის
და შენ კი სდუმხარ.. რაზედ სდუმხარ?!
ეეურეკ რამეს?..
ეჭ, ნუ ეეურებ ჩემო კარგო სხვის დიბირებს.
ხამ დიანსეე როგორ ბიბრძვის ბოდეკი ქეკეანეს?!
სედკ ფინეკეკს ვით ირთეკეენ თავისუფდებას?
და შენ კი, შენ კი.. დამეზეკეულს მოგეკეენ
კანაზ?!.
შენ ხამ არსკენ, სუდ არსკენ არ დიგიხეკრაკეს,
მაშ შენ რად გხეკეენ? ეეკეკოხეკ.. რასა
ბერჩიანზ?!!
სმა ამოდე, სიმარდოვისთვის ყეენ ეეურ
დიბერკეკეს,
სმა. სკეკბრედო, ოთრეკ ეეამდე იქნება ბეკან.
ჩემო სამშობლოვ, იზეზმე დ კიბისრე,
ნუ თუ არ ბეკო რაც აქმედ ცრემლები დვარე?
სამშობლოვ ტკბილი კიმბართე წყლში ამაკდ.
სამშობლოვ ტკბილი სიბრძოლეკდ კიმდი
კარე..

სიფო მგელ ძე

„აქეთ-იქით გამარჯობა!“

(გაგრძელება. „ოთ. და ც.“ № 33)

VII

ერთხელ შეხვედრის დროს მიხაკამ მიმართა ლაზარეს:

— ლაზარე ხვალ ქალაქში უნდა წახვიდე!

— ბატონი ბძანდები რა, დაგზარდები თუ.

მეორე დღეს, ჯერ არც კი ეროფრონა კარგად, რომ ლაზარემ მოიკიდა ზურგზედ თავისი განუყრელი ამბანაგი, წოთელ ბალნიანი ხბოს ტყავის გუდა და გაუდგა ქალაქის გზას.

ვიდრემდის ქალაქში შევიდოდა, უკვე გული იოხა ლაზარემ „გამარჯობას“ თქმით და კეთილშობილური სიამაყით აღსავსემ და გაბრუებულმა ულოგაზეში ჩაიცინა და წარმოსთქვა: ერთმაც ვეფიავინ დამასწრო გამარჯობის თქმა! შევიდა ქალაქში და თითქმის ყოველ ნაბიჯის გადადგმაზედ დასჭირდა თქმა „გამარჯობისა“—ლაზარე კი იქნებოდა, რომ გაეშვა ვინმე „გამარჯობის“ უთქ�. მაგრამ განგებ მოახდინა ეს, თუ უნებლიეთ მოუხდა—ბზა „დახურულ ბაზარზედ“ ამოირჩია. და აი სწორედ აქ ჩავარდა ლაზარე დიდს განსაცდელში და გაეპარში. ლაზარე პირდაპირ ქუჩის შუა გულს გაჭავა, ხოლო ქუჩის ორსავ მხარეს გამეწკრივებულ დუქნებს ისე ახლო უვლიდა იგი, რომ მისი შეგნება „მართებულობისა“ ნებას არ მისცემდა მას, რომელიმე დუქნის პატრონი ანუ მასთან საუბარად მისულნი უყურადღებოდ დაეტოვებინა და „გამარჯობა“ არ ეთქვა. მეორეს მხრით სიმრავლე „გამარჯობის“ მომსმენთა თითქმის შეუძლებელად ხდიდა ლაზარესათვის დაეცვა ეს „მართებულობა“ სავსებით, უნაკლულოდ. მაგრამ „ჩემი ყისმათი ყოვლთვის თან დამდევსო“, ამობდა ხოდმე ლაზარე და ამ ფიდაც თურმე თანა ჰხლებოდა. ამ ყისმათის ჩაგონებით-კი გაბედულად დაეძახა: „აქეთ-იქით გამარჯობა!“ „აქეთ-იქით გამარჯობა!“ „აქეთ-იქით გამარჯობა!“ „აქეთ-იქით გამარჯობა!“.. და აი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე ისმნა თავი ლაზარომ გაჯირებისაგან და უფრო კი განსაცდელისა და შერცხვენისაგან.

ვინც მოკლილი იყო და მეშუბის გზას გაჰყურებდა, მას ესმოდა ლაზარეს სალამი და იღიმებოდა. ხოლო ჯერ ბაზრის ნახევარიც არ გაეკლო მას, რომ შეჰხვდა სოფლელი ნაცნობი ბიჭი, რომელმაც მიაძახა: „ოჭ, ლაზარე! აქ რა გინდა?“

გაიგონეს თუ არა მოკლილმა ბაზრის ბიჭებმა მისი სახელი, ერთი დასცეს ყიჟინა: „ლაზარე!“ „ლაზარე!“ „ლაზარე!“...

ლაზარე პირველად გახეტდა უცბად ამ ყიჟინაზეც, ხოლო, როცა გონს მოვიდა, ძლიერ უამა, რომ „ამოდენა მართებულ ხალხს“ უცვნია იგი და ხან ერთს შეეკითხა, ხან მეორეს: სიდამ მიცნობ, რომ ლაზარე მქვიანო, რას მიბრძანებ შენი ჭირიმეო.

— შენმა ცოლმა რო საკბე ჩითი დაგაბარა, მოდი, მოგაყიდო, რაღა!

— საკბეს კი არა, შავქვაზ ვუყიდი მე იმას! ის კი არამი არ არის იმისთვინ, რაც ზედ აცვია!

— რათ უწყრები მაგრე, ხომ არ მიგბეგვამს ხოლმე?

—მიბეგვაზედ თუ მიდგება! შენ ხათრიჯანი იყავი, მე იმ.ს კარგებს ავაყვანინებ ხოლმე ბეგებში! მაგრამ გძელი ენა აქვს იმ რძე ძაღლს და ვერ იქნა, ვერაფერი მეშველა და ვერ დავუმოკლე მე იმას ენა!

— ლაზარე!.. ლაზარე!. აქ მოდი კაცო!

— აბა, რა გინდა შენი ჭირიმე?

— იმახთან რო ვაქრობდი, არ იცი, რომ ის მოგატყუებდა? აი, მოდი ჩემთან, ჩემი ძმაო, ყველაფერი, რაც გინდა, პირიანად მოგაცე, აი, კაი სტამბოლის ჩითები. გასათხოვარი გოგო ხომ გყავს? უყიდე, კაი საქონელია. თუ გინდა, ბაშმაკებიცა მაქვს.

— ეჰ, გასათხოვარი გოგო კი მყავს, მაგრამ იმასაც იმ ძუძუ ძაღლს თავის დედა-სავით გძელი ენა აბია.

— კაცო, სხვა შვილებიც ხომ გყავს.— ან ბიჭები ან გოგოები? —იმათ უყიდე რამე ან საპერანგე ან სახალათე ან საახალუნე, ნუ სძვირობ.

— აი შვრივო კი ეღნოთ იმათ, კაი შვილები მე ისინი მყვანან! ლუკმას რო ვაჭამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

—ისიც არამია იმათთვის.

—მაშ, შენთვის იყიდე რამე!

—მე საეკეროთ არ ჩამოვსულვარ შენი ჭირიმე. მიხაკამ გამომგზავნა თავის ძმასთან და იმასთან მივდივარ.

—მაშ გასწი გაიარე! ტყუილად რაღას გვაცდენ ამოდენა ხალხს და დროს გვაკარგვინებ?

—აკი მე ჩემ გზაზედ მივდიოდი. თქვენ თვითონ არ დამიძახეთ!

და გაუდგა ლაზარე თავის გზას „აქეთიქით გამარჯობა“-ს ძახილით, ვიდრემდის გასცილდებოდა „დახურულ ბაზარს“. ხოლო ბაზრის ბიჭებმა [illegible] ყიჟინა: „ლაზარე!“... „ლაზარე!“... „ლაზარე!“...

(

მელანია

დასასრული იქნება)

ნელა, ნელა!..

I

ნელა, ნელა ადამიანო, რატომ ხგრე დაუნდობლათ მოიბოტება ე ტყეში...

ვერა ჰხედავ ორმოებში გაყვითლებულ ფოთლებს?... ეს გზაფუტლია... ეს გზაფუტლის გვამი ასვენია შიგა...

ქუდი მოიხადე... მოიხადე ქუდი ადამიანო... აქ გზაფუტული ასვენია კეთილი ნიავის ფსალმუნთა და ია ვარდების სიხასხას ით... ფრთოსანთა კრიმანჭულითა და ნაკადთა ჩხრიალ-რაკრაკით...

II

ნელა... ნელა მეგობარო, არ შეახო ხელი ჩემს ბეჩავს გულსა... ნელა შენს მზესა... იგი სამარეა... ის სამარეა ახლათ გათხრილი... მასში ასვენია ჩემი პირველი ქალაქული და პირველი ჭაბნი საგარიეთაო... მუნ ასვენია ლალით მოსილი ოცნება ჩემი და ნეტარების ცრემლით მოკვლილი სულის სიცილი...

ნელა, ნელა მეგობარო.... ნუ შეახებ მას ხელს...

ნუ გამიარჯლებ მტანჯავ იარებს!..

დ. თურდოსპირელი

20 ივნისი 1917 წ.

ქ. წერნოგიდი (ბუკოვინა)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თალხიანი სალამი

ვარდი დასჭკნა და დაზამთრდა.
დაზამთრდა და ჰთოვს. ჰთოვს და ჰთოვს..
ცირა გაზაფხულს იგონებს,
იგონებს და ჰგლოვს, ჰგლოვს და ჰგლოვს..

ცირა-სათნო გენაცვალე,
გენაცვალე ნუ, ნუ, ნუ ჰგლოვ;
გამოეწყვე საქორწილოდ,
საქორწილოდ. ამას გთხოვ. გთხოვ...

მცივა, მცივა, მეშინიან...
მეშინიან სიკვდილს ვცნობ, ვცნობ...
შავი კუბო მელანდება,
უსიკვდილოთ სიკვდილს ვგრძნობ, ვგრძნობ

ეკლესიის გალავანში
ცა სამარეს თოვლს ათოვს. ჰთოვს
ის ჩემია, შენ გათხარე,
შენ გათხარე ხომ, ხომ გახსოვს?..

მოიგონე... მაგრამ არა,
მოგონება განა ღირს, ღირს!.
კვდები, მივალ სამარეში,
სამარეში დაბლა ძირს. ძირს...

იქ სიკვდილი მეგულება,
მეგულება და ვკნესს იჰ, იჰ!.
სათნო-სატრფო მე ჰკირიმე,
მე, ჰკირიმე, მნახე იქ, იქ..,

ცივ საყდარში სიკვდილის წინ,
სიკვდილის წინ, აჰ, ვლოცვილობ,
ჩემს სიკვდილზე ქორწილი მაქვს,
ქორწილი მაქვს აჰ! ვქორწილობ.

შავს კუბოში თეთრ ლოგინსა,
თეთრ ლოგინსა შავად ვქსოვ, ვქსოვ..
სატრფო სათნო აწ მშვიდობით,
მშვიდობით და ამას გთხოვ, გთხოვ..

სულსა მონისას შენისას
განუსვენე და ნუ ჰგლოვ, გთხოვ...
სახესა შენსა წმინდასა
ვეთხოვები, ვტოვებ ვგლოვ, ვგლოვ...

დავით კოპალი

ცხოვრების ტალღებში

(ნაწყვეტი)

ზამთარი იყო... თოვლი ბარდნიდა; ქალაქს ღამე ეუფლებოდა...

— მე მხოლოდ შენ მიყვარხარ მიშო, შენ...—ეუბნებოდა ნამტირალევი ქალი ხმის კანკალით ვაჟს,—ქალაქის ბაღის თავში—რომელიც იქვე მახლობლად მდგომ ევროპიულად ჩაცმულ კაცზე უთითებდა და არიგებდა რომ წაჰყოლოდა მას „ფულის“ საშოვნელად.

— თუ გიყვარვარ ოლია, ეხლა დაამტკიცებ.—უთხრა ვაჟმა და დააპირა მოხმობა უკვე წინადვე მოლაპარაკებულ კაცისა, მაგრამ ქალი მუხლებზე დაეცა და შეევედრა ქმარს, რომ აელო ხელი თავის განზრახვაზე.

— არ შემიძლიან, არა!—ეუბნებოდა ქალი და სტიროდა ცხარედა.

— არ შემარცხვინო ოლოლ ამ კაცთანა; დაპირებული ვარ. ის თანახმაა მოგცეს რამდენიც გინდა, ადექი, სირცხვილია.—უთხრა და წამოაყენა ზეზე.

— მიშა, გენაცვალე, მეშინიან.

— აბა რისა გეშინიან ჩემო კარგო? ხომ არ შეგჭამს!

— შენი ცოლი და სხვასთან? სულ ორი ვირის ჯვარ დაწერილი...

— ოჰ? აბა! ოლია რეებს ამბობ?!—ანუგეშებდა ცოლსა და სცდილობდა დაეთანხმებინა.

— მიშა შენი ჭირიმე; მომკალი ბარემ.

— ჩემო ოლია გაჭირდა ცხოვრება, შენ უნდა დამეხმარო, სანამდის ამ ორ უკანასკნელ კურსსაც გავათავებდე. შემდეგ-კი როდესაც დივამთავრებ, აღარა გაგვიჭირდება-რა! ვიცხოვრებთ ტკბილად, უზრუნველად.—უთხრა და მოიხმო უცხო.

— მიშა! დაფიქრდი რა გზაზე მაყენებ. —ეუბნებოდა ვედრებით ქალი, მაგრამ ვაჟი უკვე აღარ უსმენდა და მოახლოვებულ „სტუმარს“ ღიმილით ეგებებოდა და ეპატიჟებოდა.

— გაეცანით! ეს ჩემი...—უნდა ეთქვა „ცოლიაო“ მაგრამ ძალამ უსუსტა—გაეცა! ით..,—დაატანა კვლავ და მდუმარედ ცრემლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მფრქვევ ქალს ხელი დაუპირი და გაუწოდა მოსულს.

— ბონ-სუარ მა-ს�eiro!—მიესალმა ფრანგულად ქალს ახლად მოსული—იმედი ჩემთან არ მოიწყენთ. ადონ ფერ ენ ჰტი ტურ დე პრომენად!—უთხრა, მკლავი მკლავში გაუყარა და მივიდა ქუჩის-პირას მდგარ ავტომობილთან. ავტომობილმა დაიგუგნა, და მსწრაფლ მიეფარა სახლებს. მიშა კი იდგა და გაჰყურებდა სიამოვნებით შემდეგ კი, როს გამობრწყნდა და დაეპირა სახლში წასვლა,—ვით მოწმენდილი ფირუზისფერ ცისა კამარის გადაეკვრის ღრუბელთა ქული, ისე დაც მის გულს შემოეკვრა სევდისა ნისლი და დაიწყო ძმიმე ლოდათ. სუნთქვა უმძიმდა. ბაღის რკინის მოაჯირს ოხვრით მიეყრდნო სინდის ტანჯნილი... თითონაც ვერ წარმოეგენა თუ რათ მოიქცა ასე და ოვის და უნებურ თავში წამოიკრა:

— ვაი-მე! ოლია, ჩემო საყვარელო ოლიკო! რა გიყავი, რაა?! ვის სარეცელს დაამშვენებ ამ ტიალ ღამეს?—იგი ეცადა გამოსდგომოდა უკან, მაგრამ თითონვე ჩაეცინა მწარედ თავის განზრახვაზე.

— სისულელეა! რა უშავს? ან ვინ გაიგებს,.. შეეჩვევა,, სულ-ერთია. მე მაინც მიყვარს. ჰა?! იქნება დამტოვოს? არც ამაზე ვიდარდებ, სხვებიც მრავალნი არიან.,.— მიდიოდა შინისკენ და თან ამ სიტყვებს ბუტ-ბუტებდა.

ერამულობდა მოუსვენარი ქალაქი. თოვლი კი კვლავ ბარდნიდა,..

მეორე დილას,— როს მზემ თავისი ძალი გამოოფეთა სხივები შეათამაშა თეთრად გადაპენტილ ქალაქის არე-მარეზე—ჯერ ისევ ლოგინში მწოლარე მიშას მოესმა კარზე კაკუნი. ადგა და გაუღო; ოლია ეგონა. გულის ფანცქალით მოელოდა მას მის წინ სასტუმროს მსახური იდგა დახურული წერილით ხელში მიშას მისამართით, ცივმა ტრაკტელმა დაუარა ტანში და ძლივს გახსნა კონვერტი. ხელები უკახკახებდა, შიგ ეწერა: „მე დავამტკიცე შენდამი სიყვარული.. რა-რიგ მიყვარდი! შვიდრიმაო!.. ოდესაც შენი ოლია“.წერილთან ერთად ქალაღდის ოცდა ხუთი მანეთიანიც იყო, ფულის დანახვაზე სახეზე ღიმილი გამოეხატა, მაგრამ ჰმუნვარება ჩაერთო შიგ წაკითხულ ამბის გამოდ. მსახურს გამოჰკითხა რომელ სასტუმროში იყო და ოლიას ოთახიც, რას შემდეგაც დაათხოვა, საჩქაროდ ჩაიცვა ტანთ-საცმელი და გაემართა იქით ავიდა მეორე სართულში და დაკაკუნა ოლიას ნომერი. პასუხი არ მოესმა. შეიღო კარი და მოწწეებით გადაბიჯა კარამანს, შიშმა შეიპყრო. სურათი თავ-ზარ დამცემი წარმოუდგა: ზეწარით ქაღზე ტკიცი ოლია, რომელსაც თვალები ქუთუთოებიდან გადმოსცვივნოდა და ენა გადმოეგდო. მუხლები მოეკვეთნენ მიშას და მოწყვეტილი დაეშვა სავარძელში. დიდ-ხანს ეერ მოვიდა გონზე. აქა-იქ ელავდა მაგიდაზე შამპანიურის ბოთლები და დარჩენილი ძეირფასი საქმელები. მაგიდაზევე იყო პაწია ბარათი შემდეგი შინაარსისა: ჩემ სიკვდილში ნურავის დასდებთ ბრალსა. მე ასე მსურდა... სულ-ერთია! ვიყო თუ არა. მე წვეთი ვარ თვალ-უწვდენ ოკეანესავით აღქაფებულ ცხოვრების ტალღებში,..“ ხელს ოლია აწერდა. მიშას სახარულს საზღვარი არა ჰქონდა: თავიდან იცდენდა პასუხის-მგებლობას. დაეპირა ჩამოხსნა სარჩობელიდან, მაგრამ შეჩერდა. წასვლა გადასწყვიტა და კარს რომ მიუახლოვდა, მოესმა ხმაურობა და ფეხის ხმა კიბეზე პოლიციელებისა. უნდოდა გვერდი აეხვია და ჩასულიყო, მაგრამ ბოქაულმა შეეჩერა.. მიშას ფერი ეცვალა, სულმდაბლობამ ალაკანკალა...

ხ. ერთაწმინდელი

ქართული საეკლესიო კითხვა--გვლობა.

მარიამობის 16 საქართველოს ეკლესიის ცხოვრებაში ისტორიულ დღედ უნდა ჩაითვალოს.

ამ დღეს სიონის დიდებულ ტაძარში მრავალი სამღვდელოებისა და დიდ ძალი ერის თანდასწრებით ადადგინეს სწორედ ერთის საუკუნის წინად გაუქმებული თბილელ-მიტროპოლიტობა. მიტროპოლიტად კურთხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულ იქმნა ლეონიდე მღვდელმთავარი.

ამ ამბავმა ბევრ დამსწრეს სასოების ცრემლი მოჰგვარა.

თითოეული ქართველი მორწმუნის გული ნეტარებითა სცემდა, რომ უსამართლოდ ფეხქვეშ გაქელილი უფლება ერისა აღდგენილ იქმნა.

და ულოცავდნენ უთიერთს.

ამ ბრწყინვალე დღემ ბევრი სიმწარეც განგვაცდევინა.

ერთი საკუნის მონობის შედეგი მთლად თვალწინ დაგვეხატა.

ჩვენის ეკლესიის გარეგნობასა თუ შინაგნობას—სხეულსა თუ სულს—საშინელი გადაგვარება ეტყობა.

ძველის ძველი საკათოლიკო-სამოციქულო ივერიის ეკლესია ძალად-მაცხონე ბატონის უხეშმა ჩექმამ ფეხქვეშ გაქელა და მთლად გაცამტვერებას უქადდა, მაგრამ მიზანს ვერ მიაზწია.

დღეს, როგორც ჩვენი ეროვნული ცხოვრების ბევრი სხვა მხარე უცხო გავლენისაგან გაწმენდა-განკურნებას ითხოვს, ისევე ეკლესიაც: უნდა განიწმიდოს იგი!

თანამედროვე ქართველის სულსა და გულს რუსულ ყაიდაზე მორთული წყლ რიგი აღარ დააკმაყოფილებს.

საქართველოს ეკლესია მორწმუნეთათვის უნდა აღსდგეს მთელის თვისის ღირსებით.

ქართული თმობიერი გალობა, ავაჯიი და მკაფიოდ გამოთქმული განსაკუთრებით მონასტრული, ეს ხომ სულის ცათამდე აღმაყვანია, ნამდვილი ქართული ძველებური კეთილი სახარებაა, სამოციქულოსი, დაუჯდომელის, მარხვანის (სამ საგალობელით), დავითნის და სხ., ეს ხომ სულისა და გულის დამტკბობელი ჰიმნია!

მერე შეგხვედრიათ სადმე?,—ეშმაკთან.

ხომ გინახავთ თავმინებებული ყანაც ვვირილი რო მოეგება, ანუ ორად დარჩენილ ვენახს ნარეკელი გადაუვლის,—სწორედ ახე გადაიარა ჩვენს საეკლესიო თუ საერთო კულტურაზე რუსის ბერების მოუხეშობამ და გაველურა...

კითხვა კითხვას არა ჰგავს გალობა—გალობას.

ყოველივე უკუდმართი, ველური უნდა განიდევნოს ქართული ეკლესიიდან.

საქართველოს ეკლესიამ თანამედროვე ცხოვრების თანახმად შინაგანი ცვლილებანიც უნდა მოახდინოს: წირვა-ლოცვის დროს შემოკლება თუ სხ.

ქართველი ბერთა შორის აქა-იქ კიდევ მოიპოვებიან ქართული გალობა-კითხვის მცოდნენი,

ამერეთში, სხვათა შორის, ასეთები არიან ტარსია მღვდელიმონზონი (ანდეკეჯა), არჩილ ბერი (თარაშვილი), გიორგი მწირი (ეპიტაშვილი) და სხ. ესენი გალობდენ დარიის მონასტერში

უკანასკნელი მათგანი—გიორგი მწირი—თითქმის 20 წელიწადია მოღვაწეობს საეკლესიო გალობისა და კითხვის გავრცელების ასპარეზზე.

საპირო მთი ცოდნის გამოყენება.

უეურადღებოდ არ უნდა დაატოვოს ნიკოლოზ (კიკუშა) სულხანშვილიც, რომელიც ქართულ გალობის მცოდნედ ითვლება...

ვინ იცის კიდევ იმერეთში რავდენია მიმალული ასეთი ძალა?

საჭირო მათი მოძებნა... და საზოგადოო იმ ძალთა ამოძრავება, რომელნიც ჩვენის ეკლესიის ეროვნულ ელფერს აღადგენენ.

დიდ, ჩვენი ეკლესია განახლების გზას უნდა დაადგეს არა მხოლოდ სახელით, გარეგნულად, არამედ სულიერადაც—შინაგანის არსებითაც.

ილოს ანიმოთიელი

გლეხის თხოვნა

— ერთი არზა დამიწერე, შენი ჭირიმე! მომმართა ერთმა ყოფილმა გლეხმა.

— ვის უნდა მიჰართვა არზა?

— „პრიჰტავსა", შენი ჭირიმე

— ამხანაგო, რით ვერ გიგებ, რომ ეხლა „პრისტავი" აღარ არის. თხოვნა თუ გინდა, კომისარს უნდა მიართვა.

— რავი, შენი ჭირიმე, სულ ერთი არ არის „პრისტავი" ან კომისარი? რასაც „პრიტავი" ასრულებდა, კომსარიც იმას ასრუ-

ლებს, ტრაენიკების მაგიერად მილიციონერე, ბი ყავთ. მომასახლისის ადგილას, ჩვენი კო. მინტერტი. მარტო სახლეები გამოიცვალა, თორემ საქმე ისევ ისე ძველებურად მიდის.

— მაგას თავი გავანებოთ, მაგაზე მერე მოგელაპარაკები: ვინ რას ასრულებს ან რა დანიშნულება აქვს კომისარს ან მის თანაშეშწეს: ᲒᲠᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲥᲕᲡ. საქმეზე დაიწყე. რა გინდა დავწერო თხოვნაში.

— ისა, შენი ჭირიმე, რო ე „ზერტელები“ რო არიან, აი დამალული „სალდატები“, სული გაგვიმწარეს! როგორც ყაჩაღი არსენა, შუადღისას გვეცემიან. იმას რა უშავდა: ის მაინც მდიდარს ართმევდა—ღარიბს აძლევდა, მაგრამ ეგენი უფრო საწყალს იბრიყვებენ. ქათამი აღარ შეგვანარჩუნეს და ინდოური, „ᲐᲥᲘᲡᲮᲘᲜᲘ“ რო იყო, იმას რა უშავდა, ქრთამით მაინც დავიყოლიებდიო. ᲔᲒᲔᲜᲘ ᲙᲘ ᲦᲛᲠᲗᲛᲐ ᲨᲔᲜᲘᲜᲐᲮᲝᲡ: თუ პატარა ხელის არაყი გამოხადე და გაგიტეს, მოვლენ და წაგრთმევენ, დალევენ, დაითვრებიან და ისევ ჩვენვე გვეჩხუბებიან: რათა ხდითო! სიტყვას როგორ გაუბედავ,—ხანჯალსა და კეტს არ დაგარიცხებენ—სულ ერთია „ვაენში“ უნდა დავიბიოლეთეო. ᲰᲝ ᲓᲐ ᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲡᲬᲔᲠᲐ, ᲨᲔᲜᲘ ᲭᲘᲠᲘᲛᲘ, ᲠᲝᲛ ᲔᲒᲔᲑᲐ ᲡᲝᲗᲣᲔᲚᲘ ᲒᲐᲡᲬᲛᲘᲜᲓᲝᲜ, ᲗᲝᲠᲔᲛᲘ ᲛᲔᲠᲔ „ᲕᲐᲔᲜᲘ“ ᲐᲥ ᲒᲐᲬᲜᲔᲑᲐ.

— მაგის შესახებ მე თითონ მოველაპარაკები კომისარს. თხოვნა რა საქმეროა.

— ეგეც გვიშველო რამე და ჩვენს კისერზედ დაგვაქდიე,—წამოჭარა კიდევ მამასახლისთან დაჩვეულმა ქრთამის დაპირებამ და გამშორდა.

მუშა ᲗᲐᲥᲐᲠᲘᲐ ᲖᲔᲣᲗᲝ-ᲮᲐᲜᲓᲐᲙᲔᲚᲘ

დავით პლატონის ძე თ. დადიანი.

პორტრეტი ᲜᲜ ᲗᲐᲓᲓᲘᲡ ᲗᲐᲓᲓᲘᲡᲐ ᲗᲐᲙᲓᲘᲡ ᲐᲛᲥᲜᲐ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡᲐ ᲒᲐᲛᲘᲠᲣᲚ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲚᲘᲗ,

ნიადვარი

**

ცა კოტეობს, ღრუბლის ნაკვერებს ათამაშებს, ახტუნებს,
მზესა ჰფარავს ნაკვერებითა, მაზე ნაკვერებს აბრუნებს.
ხიბლავს სახე ხეებისა—მათ ფეერების ქიცინის
და პირბადეს ხან აიწევს, ხან იქიდან იცინის;
მაგრამ რაღაც შუბლი ეკვრის, შავ-დ ღებავს სამკაულს
და ჰპირდება ის სამყაროს თითქო წარღვნა—სასწაულს.

**

ცა შეირხა, შეტორტმანდა, გახდა იგი ავადა,
ამობნელდა, ძოგძიგდა ძირს მეელეთი შავადა.
ᲰᲐ, ᲐᲘᲬᲧᲝ ᲪᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲩᲐᲜᲒᲘ ᲒᲚᲝᲕᲘᲡ ᲒᲠᲫᲔᲚᲘᲡᲣᲚᲘ
და მადამო აქვითინდა ავადმყოფი—სნეული.
ᲩᲐᲜᲒᲖᲔ ᲡᲘᲛᲜᲘ ᲓᲐᲘᲠᲘᲛᲜᲔᲜ, ᲣᲪᲑᲐᲓ ᲛᲝᲡᲬᲧᲓᲔᲜ ᲡᲠᲘᲐᲚᲘᲗ
და მიწაზე მიმოცურდენ შხუილით და ღრიალით.

ᲘᲐᲙᲝ ᲯᲘᲜᲝᲠᲘᲫᲔ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის მეტინგზე

სურათები ერთ მოქმედებად

მომქმედნი:

1. **გიო**, ქალაქელი—ბრბოსკენდისტი, სოფლელი გლეხის შვილი, თვითკანეთარებული, დეპოში ნასწავლი, ნიკომბარადი . . 28 წ.
2. **თინა**, მისი მეუღლე, სოფლელი, სოფლის სკოლაში ნასწავლი, თვითკანეთარებული 23 წ.
3, **კაკა**, თინას ამხანაგი, სოფლელი, კეთილოვანად დარჩენილი. . . 28 წ.
4, **მარტირუზა**,) სოფლის მეფეუქნე, 35 წ.
5, **სტეფანე**,) სკერთველდას .40 წ.
6, **მელქო**, სომხები (ულიტეკენდ) 45 წ.
7, **პეტრე**, მაწანავე გლეხი . 23 წ.
8, **ტაკვი**, ხელფეხ-დაბრეკილი 32 წ.
9, **სანდალი**, მეფანდურე (25 წ.
10 **ორთოფეკან**, (გლეხები 30 წ.
11, **მამასახლისი**, ჭკვიანი შერთული 45 წ.
12, **თომა**, სოფელი გლეხი, 50 წ.
13, **ვინტეფ სალდატი**, ლოთბაზარ ყარას კეფი . . . 23 წ.
14, **გიორგი ჯარისკაცი** . . 25 წ
15. **მიტო**, ლუქნის ბიჭი.

ქალთა ბუნდი, გლეხთა ბუნდი. სოფლელნი—გლეხნი განსაკუთრებით ხნიერნი და ეშვერ-ულვაშანი.

სცენა: ზარა ბზის პირი სოფლის ლუქანი. მოშორებით სოფლის სამარეთელი, მიედანი. ბრაველ ტოტა ხე, ახალ ეკერტე გამოლებული მოსასანს მთა გორები. მოკამკამებული ცა ბაზაზეულია. ბეზე წითელი ფრაზა ფრ ალებს. ლუქნის დირეზე სხვდან თომა, ჩიბუხს სწევს, და ტაკვი. მოისმის სიმღერა, ფარდის ახდამდე.

გლეხთა ბუნდი (სიმღერით, წითელი ფრაზათ. **მდერიან ძველ მუშურ ბიჭაქოთად კიდაზე**).

პირველი პირი

ზამთარი გასწყდა წელშია,
თავი ამოჭყო ყანამა,—
იკურთხე მუშის მარჯვენავ,
ის შენმა ოფლმა დაპნამა,
მზე შემოგციანის სიამით,
იამოს შენისთანამა!

მეორე პირი

მეფე ნიკოლოზ დიენმო,
უწია ცოდვის დანამა,—
დიენმო მეფე ნიკოლოზ,
უწია ცოდვის დანამა.

(ჩაიდგიან)

თომა (კეკეურეკენდელი) **სიზმარი** თუ ცხადი... თუ მკვდრები სდგებიან საფლავებიდან. ე რაები მესმის!.. (თითქო **ბუნდს ამოსძახა**) **ჰა?** ყურში არ შედის, არა!..

ტაკვი. არც მაშინ შავა ყურში, როცა პრიტავ-ნაჩალნიკისა და ტრაკენიკ-მამასახლისის მაორახი ალარ მოგბედება!..

თომა, ეჰ, შვილოსა, ამ ათიოდე წლის წინადაც მაგრე იძახოდით: ხემწიფე შუშის ფეხებზე დგას, ერთი სარმალა აკლია, გამოვკრავთ და დაეცემაო.—გახსოვს? ჰო და ვინ იცის ბუნდი თავი მოიმძინარა და მერე უცებ დაგვშხამოს!.

ტაკვი. სულელი მე ვარ, შენისთანა ბებრიკს რო ველაპარაკები! ვერ გაიგე, ხემწიფე დატუსაღებულიაო, ყურჩუნ?!..

თომა. ჰა, ჰოო!.. (ეკეთ-ეკეთ ინდგება, თან ბარჯვარს იწერს) ღიდება შენთვის ღმერთო, ღიდება შენთვის ღმერთო! სწორედ მეორედ მოსვლაა...

ყიფინა (მოისმის ერთობის კეკეურეკენდ!..

პეტრე (მოუძღვის) აქეთ ამხანაგებო, აქეთ! ერთი ე ჩვენი ძველი კანცელარიაც ვნახოთ! აქ ბევრი ცოდოა!.. (**რაკდენიმე** გლეხი შეჰყვება **პეტრეს**, **სოფლის სამარეთელდან** გამოიტანს ნიკოლოზ შეფის **სურათს, ჩარჩოში ჩასმულს. უკან მოსდევს კეფთორგებული მამასახლისი.** მამასახლისს **არ იცის** რა ქნას. **პეტრე ჩარჩოს ფეხს ჩასცემს და ფურეწეკენ**) ასე დაიფრინეოს ყველა ჩვენი ავად მახსენებელი!

ტაკვი. აი, ეგრე, ეგრე ეცეცხლი წეკიდეთ, ეცეცხლი...

მამასახლისი მე კიდე ჩემსას ვეტეკვით: ეს დრო იმ დროდ **არ** მოვა... ფრთხილად, თორეგ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტრე. ერთი ამას შეხე, როგორ გვეშეტრება კიდეც!..

ტაკვი. რა ბევრს ალაპარაკებთ?! თუ ძველი მთავრობა დაიმხო, ჩვენი სოფელი მეფეტ უნდა დაიმხოს...

ხმები:—ძირს მამასახლისი.

—ჯაქეი აიწყვიტეთ!.

— ჯაქეთი მიაბით ხეზე!..

პეტრე. შენ იქნება ფიქრობ, ძველი მთავრობა კიდევ დაბრუნდეს! სინსილოს გაგიწყვეტეთ... (ხალხი შემოეხვევა მამასახლასს. ჭეტრე ჯაჭვს ჩაბოიეშვებს ერთი ტალღა მამასახლის გარტაცებს).

მეშანდური (გადახტა ჯაგუაში ეკალზე წოთელი ხელსახოცი, ნაბდის ქუდი კეფაზე გვერდზე ფაფა ფუძს უკრავს, თან ფიდერის (თუშ-ფშაველ-ხევსურულ კიდობზე ახრი ადებული)

ერთხელ კიდევ წინის მოგვერავ, ყოფილ ხემწიფეო,

მამა შენი ბილწი იყო, შენ იმისი ძეო,

არყებ დაგვიდე ბაეები, წილი ჩაიდეო!

ტყეები რო შაგვიკარი, გვხოცავს სიცივეო!

ბიეები სულ ომს წაასხი, ეერი დაგვიხეო,

ეოგოეები დაგვიმშიე, გაჭკონ სასიძეო!..

ეველარ გასაძეღ ჩვენის სასხლით, სვავო სამიწეო.

ოვალი დაგიდგეს ნიკოლოზ, ალარა ხარ ზეო.

ყირწაყურწა გადადიხარ, უკან მოგდევს ძეო,

მამაბაბის შენსა ტახტსა ეველარ ეღირსეო.

ახლა მომკე, ჩვენს სატანჯად რაც რო დათესეო!..,

ხმა—აბა, ლეკური!..

(ლეკური დაუკრავს, ორნი ბმაბუკეან. ბეკეეი ჩაიგდიან)

ოთმა (ჯოგებუული ეურგება ზარს) შეხე, თითქო ალაეერდობას მიდიანო. რამდენნ ხალხი ბერიდგება!.. სუ კი ბერი კაეი, წვრილფეხობა და ქალობაა... აი, გასწყალეს ჩვენი ეოე-კაცობის ჯილაგის ამოგდებაა!...

ქალთა გუნდი (ბიმდერით. ზარიდან ანგეჯერებაო ქართველნო"ს ხმაზე)

ბლეხის ცრემლისა ტბა იდგა,

ოშხიერით ცასა სწვდებოდა,

ზედ მეფე ნავით ცურავდა,

ბლეხი არ ებრალებოდა,

გადაუბრუნდა აწ ნავი:

ცრემლთ ტბაში იბნიდებოდა...

ქაკეი. ოი, თქვენი ენაპირის ჭირიმე!.. ოლონდაც, რომ ცრემლის ტბაში უნდა ჩაიხრჩოს ჩვენი შემოწუხარი... მა რა ეგონა, ორად ორი ძმა რო გამტაცა: ერთს ციმბირს უკრა თავი—ერთობაშეა რათ ერეკეო, მეორეს ჯარში, სადღაც მოუსავლეთში! (ქალთა გუნდი ჩაიდგის. ბეკეე და თინა ჩაბორნეტბიან)

პეტრე. კეკეე, ალარა ხუმრობთ, აი! ლამის არის ბიეებს გვაჯობოთ!

ქაკეე. ნურსად ეტყვი: ვანა მარტო ახლა გჯობეავართ თუ (სიცილდა)

მარტირუზა (ხელის ჯოხზე წოთელი ხელსახოცი შეუპყავს, მადა უჭირავს, თან ახდაგს სტეფენე, ვანტუა სადგამა მეედა). და სხ. ტაკვი ავა, მარტირუზ! ზედ ქარმა დაუბერა? შენა და წოთელი დროშა?! თუ ერთობას მასხარად იღებ.

მარტ. მა ხარა რომელიაზ?

ტაკვი. ეოთობის დროს არ იყო, ჩვენი გიო რო გადაასახლებინე?

მარტ. ხელი აიღე, მამა გიცხონდეს... რა გენერალგუბერნატორი ვიყავ! მე-კი არა, თავისმა ჭკუამ გადაასახლა,—რაო, ალალმართალ კაცს ბოიკოტი რო გამომიცხადა, კაცი მიწასთან გამასწორა—ზერჩხებოდა!...

პეტრე. არ ზერჩხებოდაო და ახლა ციხიდან გაგოსული, სალამა მოვა და ეასუხი მიეცი!..

მარტირუზა (ტოტა შეუტეხუნებუდა).რაო, გიოც გამოუშვიეთ?

ტაკვი რა ვერ გაიგე. რო მთელი ცხეები გაეღიეთ.

მარტ. (თავისთვის) აბა, მოდი შენა და სამართალი იპოვენე! სწორედ ამაზეა ნათქვამი: ქვა დაუბამთ,ძაღლი აუშვიეთო! (თან ქალებისკენ კიეუურებს, სადაც თინა სდგას. ჯოხს დუქნის წინა ბოძზე მიამაგრებს და კოშმანნა დუქანში მიაბიტეგებს)

ქაკეე (თინას) კიეგე, სტეა გიო დაბრუნდებაზ.

თინა (ოდნავ შეწოთდებუდა) დაბრუნდეს რა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმა (შორიდან მოისმის) გაუმარჯოს, გაუმარჯოს.

პეტრე. დამეცინდეთ სწორედ გიო ეყოს, ეი აკეკრ ცხენ და ცხენ რა მოკრიდდა წითელი დროშათ... აჭა, ცხენიდან გადმოდეს, ბიჭუნა-ხელშეა ეიტაკეს. ის არის, ის! ამა შეეგებინეთ-გაგა. თითქმის ეეეელანი გაჭეეეგნეთ, მარტარეზს, თომის, ტაკეის, კეკეს და თინის გარდა. ჭადები სცენის ეკენა რიგზე შორს ეეურებთან, სათოვ გიო ეზდა მოსუდა)

მარტირუზა (მადი მად თინისკენ ეეურება, ეზდა როგორმე მიუხდო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი მრავალტანჯულ სამშობლოს სიყვარულის ცეცხლი გაგიღვიოთ გულში!.. გაუმარჯოს საქართველოს ავტონომიას!..

ხმები: გაუმარჯოს

— გიოს გაუმარჯოს!

— ხალხი კიდევ მოსასვლელია, დაუცადოთ. შორი სოფლები ჯერ ახლა იქვრიან ამ ქეთკენ!..

— დავიცადოთ და მერე ერთად მოვილაპარაკოთ!

— წავიდეს და კიდევ წაგვართოს ხარჯები!..

— კიდევ მოგვთხოვოს კენჭის ბიჭები...

— მაშ „ვაინ“ გათავდება, რაკი მეფე დაემხო... (ხალხი დადინდგა ადგა)

— შენ კი გენაცვალეთ, რომ ე მაგეთი ბიჭი გამოგვიხვიდეთ!..

— სუ შენ ხსენებაში ვიყავით!..

პეტრე (გიო მაჰკვლს) ისევ ისა ხარ, ჯალათებმა ჯერ კიდევ ვერ გაგტეხეს!

თომა. თმაში-კი ჭაღარა შეჭაარვია!..

პეტრე. უ, დალოცვილო ჯერ ციხე, ახლა კატორეთი, მერე ციმბირი. ადვილი ხომ არა გონია?

(ეეეეს ტდადბს გიოს ხელი ჩამოართვეს, ზოგი ჭკოგანს)

ტაკვია. გამარჯობა გიო! (დაჭნანეეი დამიდიო ხელს გაეწვდის) მშვიდობა შენს მოსვლასა!

გიო. ოჰ, ჩემს ლეკსოს ვიხლიავარ! სხვა?

ტაკვია. მე კი ვარ გლეხის პირობაზე მაგრამ შენ რატო ეგრე საეს პურივით ზურგი გიბრუნია.

გიო. როგორ?

დარ. რა ვქნა, შენ არ ძაბდი, ავტონომია ჩვენი საქმე არ არისო ახლა?

გიო. ჩემო ლეკსო, როცა რუსეთის ცივ ქვეყნებში იცხოვრებ და სხვა ხალხს გაეცნობი, მაშინ გაიგებ როგორ ტკბილია სამშობლო. და თუ ჩვენ სამშობლო დავკარგეთ, სულ-ხორციანად დავიკარგებით კიდეც.

გიო. (ეედეებისკენ ეიდეეს) გამარჯობთ!

ქ.ლ. ერთხმად. გაგიმარჯოთ! (სითო�დ ხელს ჩამოართმევენ)

გიო. (თინას ხელს ჩამოართმევს) გამარჯობა

თინა (ტოტს მორგებულ, თითქო გორაზედ) გაგიმარჯოს!

გიო. მიწყრებიხ?! პატარძალი ტყუოდეო, ისევ თითონ ბლეოდეო!

ეეეეე. რატომაც არ უნდა გიწყრებოდეს?! კინაღამ სამარტირიზეზედ რომ გახადე!

გიო. მე თუ?!

ეეეეე. სწორედ შენ!.. სიკვეყნო სიკმე ძალიან კარგია, მაგრამ კაცმა არც თავისი თავი უნდა დაიეიწყოს: ჯერ თავოდ თავოო, ხომ გაგიგონია.

გიო. მე დავივიწყე?

თინა. (თავდადუნუდი, ეწოთდებუდი, ქედგის) წყეარეთ დედამიწაზე რადგან უაზრად ხაზავს ეედმა-ეეკუდმა)

ეეეეე. (უნდა მარტო დასტოგოს) ამა ქალებო, მოგერგებეული ადგილი ვეიარჩიოთ და გიოს ვსთხოვოთ, ერთი მიტანგი ჩვენც გაგვიმართოს: ეხლა ხომ ერთობაა და ქალებსაც თავისუფლება უნდა მოგვეცეს! (ეადის).

თინა (რაგან გაჩმარტოვდებიან, თავდადუნუდი) რად დამივიწყე.

გიო. არ იქნა, არც ერთ წერილზე პასუხი არ მაღირსე.

თინა. დედა არ მომიკვდება, შენგან ერთი წერილის მეტი არ მიმეღოს, ისიც მეტების ციხიდან რო მომწერე.

გიო. ნუ თუ? მე კი ეფიქრობდი, რაკი კატორგა გადამიწყვიტეს თანამ ხელი აიღო და სხვაზე გაჩქ

.

თინა. უწინამც დღე დამელევა! შენ კატორღა გადაგიწყვიტეს და არ ვიცი, ჩვენ ორში ვინ უფრო მეტად იტანჯებოდა!..

(ტრეშდი ერეეეა)

გიო თინა, თინა! სემო სიცოცხლეეე! ნუ თუ ჩემი მზე კიდეე ნაოოხს!

თინა შენ თუ დამივიწ... (ხმა ჩაუწყდება სიტყვის თქმა ეუნელდება) წერილის ღირსიც არ გამხადე!

ეეეეე (ეეგებ მოგარდეეს) ერთი იტირეთ და თუ გინდათ ლეკურს ჩამოვეურნენ! სიხარული ახლა გვართებთ და თქვენეი სტირით? სატირალი მარტარუნს ჰმართებს, რომ ალარ იცის რა ჰქნას—იადონი გაუფრინდა... ვერ !ეეეს და ვერ ეღირსა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თინა. ენა რო დაიმოკლო—ისა სჯობია

გიო იქნება იყო რამე?

კეკე. რაღა რამე—ე დღლოცვილო რებო ლიუციი, ერთი ორი კვირა რო შეგვიანებულიყო თინას ხომ თვალითაც ვერ დანახავდი. თე ლ საცხოვრებელს გადავგვებ, თინას კი ხელიდან არ გაუშვებ. სწყალი შენს სასიდედროს, მოციქულს მოციქულზე უგზავნიდა, ფულს-ფულზე გიჯდები, მომწონს, უმაგ. სოდ ცხოვრებნი შემიძლიანო!"—გიჟია! მე კი ცოტა ვინმე მომწონს.

გიო. იმიტომ თუ მიმივიწყა თინამ! ეგრე უბრალო იყო ყური ბეღმა!

ოინა გრცხვენოდეს. გრცხვენოდეს! (ბედგს უჩვენებს)

გიო რაო, გამიშვებს ვითომდა რას გლოვობდი

თინ. დაკარგულ სიყვარულს

კეკე. თინას რო მივიწყნე, აქამდე ჩემიდენა შვილები უნდა ჰყოლოდა, მაგრამ არ ვიცი: ალბად თაფლისა თუ ხარ, რომ არ გშორდება. ლაპარაკი ლაპარაკსა—და წყაროსთან ქალები გველიან! (მუსაფთან ბუ-ძდგება, ნინა დ. გიო ერთად გაჰყვებიან)

გლეხთა ბუნდი (წითელი დროშით, მარ-სელიოზს მღერიან, ელეფთა ყარგად ვერ შეუსწავლიათ)

ზურგი ვაქციოთ ძველ ადათ-წესებს,
ჩამოვიბერტყოთ ზურგზე მის მტვერი!..
ჩვენ ახარი მივცეთ ჩაგრულ მომძეთა,
მეფის ტახტის ვართ მოსისხლე მტერი...

იოსებ იმედაშვილი

(დასასრული იქნება)

ოცნება

ჰე, მზეო, მზეო! ლაჟვარდ შვენება,
ვინ მოგაწვდეს უფსკრულს, ვინ და-
გიმონოს,
რომ იქნებ წყარო უკვდავებისა
შენ სხივში პოვოს, შენს სხივში კონოს.

—

რომ ძირს ბუნება მარად ყვავოდეს
მუდამ ყაბს ლხენით სტვენდეს ბულბული;
და სიყვარულის ღმერთი ხარობდეს,
ბნელს, სიკვდილს, ყვანდე დავიწყებული.

—

მაგრამ ვაი, რომ ეს არს ოცნება,
ნაშობი ფიქრის, ფუჭი სურვილი.
და კვლავ სიკვდილის ცრემლმა მოგიკლას
უკვდავ სიცოცხლის ჩუმი წყურვილი.

—

ჰე, მზეო, მზეო! სიცოცხლის წყარო,
ოდეს ბუნებას სხივი მოუწყო,
მრავალტანჯული გმირთა სავანე
სამშობლო ჩვენი არ დაივიწყო.

—

და მასაც სხივი სტყორცნო მარადის,
გამოაფიზლო, თუ კვლავ ეძინოს,
რომ წინაპართა ბრძოლის ყიჟინი
ჩემებრ გაეგოს, ჩემებრ ესმინოს!

—

მაშინ-კი მიხვდენ ვინ არს ქართველი
საიდამ, როდის, სიდამ მოსული,
და სამაყოთ მათ შეიყვარონ
ჩვენი დიდები, ჩვენი წარსული!..

შუშა მიხ. დეგაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ფიქრი სანატრი“ და „ფიქრნი მდელვარნი“

(„ეკოძეულებ“. იხ. „თ. და ც.“ № 33)

VI

ნიკოლოზ ბარათაშვილის მისტიკური სიყვარული

ეს მზიანი დღე, რომელზედაც ბარათაშვილს ამყელი ჭქონდა, კვლავ გახუნულნ. მისტიკური ზე-ალტეცება—კვლავ განეცდა. მხოლოდ ეს მისტიკაზმი განსხვავდა ორ ბუნების სიმშვენიერეში—კოსმიურ გრძნობაში, ორაშელ სიმაჯნურო ტრფიალეში. ადასინა შნაყოა, რომ ეს ორივე გრძნობანი ერთი ერთმანეთში კვლავ-გადმოდიან, ერთმანეთის სახეებით ფერადდებიან. სიმაჯნური ტრფიალის ალტეინების ბარათაშვილი მზის ამოსვლის ადარებს:

„ალმოსდა მნათი ალმოსავლს მზეებრ ცოფეული,
მეიერთოს შუქთა კარდეფარა ცისა დრუბელი;
დად სიმქუსარო სიაფადრო და ფეც კაცის ბეული
მსწრაფად განმინელდა, ფაგ-ბედიანენ დაბადებული“.

ეს ფნათობი ის ბედის ყარსკვლავია, ის „ბოფურკეფელ“ და ბეფოფაფლეწინებელი მისტიკურ გრძნობის ობეკტი, რომელიც სწორეთ ორ ეჩუენება ბოეტს: „ბნორად ნისდების ოფორეს, დრფ დაბში ეზეეს, „მიბეფეფად ფონოთობს“ ხან ბუნების ფშვენიერებაში, ხან ტურფა ქალად სახეში“.

ამ ბედის ყარსკვლავს ბოეტი ეტეოდა:

„ორ სახეთაც ბინდა შენ ფე ეეზეენო,
ფაინე ბეიერნა ფშვენიერო ცის ფოეო.
ნათელი ხარ შენ ნათელი ბეფლისა,
ფალხინებელ ფაინიერად ბეფლისა.
ნუ ბეეონა ბედსა ფით დამიწერეს,
რომ ეეტეოთ ბუქთა ნისლს ფოიფერებ.
შენ ორ ალი ორ ალ ალეფეს ფოფაეეს,
რომ ფიბეეტეფთ ნისლფთ ბეფფანეთებ,
ფოეეფლეფდი, ფოდი ბეფოფეფარე,

შენგან ბინდი ბეფდი ბეფოფიდარე,
ბეფდა ეეტეი ეეტეფი ბეფფოისეფ,
ნაბეარწეფდი ეეფნისა ფოფაფარე.“

ეს ეეტეი ეეტეფი ფისტეკური ბინდისა ფეეეფსა—„ალფოსდა ფნათო“ ეეფფიდეფ ეფფოს ფიაფეეეს „ფზეებრ ცხოფეულ ფნათობაფდ“ ბარდაფეეეეს. აქ ბეეოსანი ძრიელ ეეფფდეფეეს ოფფის ალეეფდის, ოფფის ცხოფრების ფიზანს.

„ნუ ოუ ალფოსდა ცხოფრებისა ეეეეეს
ეეეეეეეეფდეფ;
ნუ ოუ ეეეეეეეე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგსოქვამდე ოუგეთ მიმეფოვრა იგი მსწრაფდ დრეგელს
ბოდიოს ვუმდერდე შუქსა შენსა შუბის მიმფენელსა“.

თუ მისტეკურო ექსტაზი მსწრაფდ-წარმგადა და ხან მოგდე თეთო კრძნობა მისტეკური წარეუხლეკდა ამ ეუნაზდეკულ დანაკდისით, ამ ეიხრეგა-დ-ბარეკებით, რიმელსაც სულს მაეუნებს, ეს დანაკდისი მოეტს კარგადექმეკ მეტეფიზეკური ეურეა-სეკდის წეაროთ. ამის ცხადთ წინასწარ კრძნობის ბარათეშეიდი და ამეტოთ ეტეკის სტრეფის.

“ვეფიცეკ ძალეარსა სხეასა შენსა ჭი მნათოთ ჩეშ
ოდეს ვიხილთ მგერე ბენდი შენს შეკ
ბარეშ
მეის დამიდამდეს ამა სოფდის სიამოეკნებ
და შენთეის დაეკდეგ ტრფობის წინეთ
ეოფდი დ დეგა“.

ცხადია, რომ მოეტის ორგკარიეკ ექსტაზი, როგორც კოსმიურ-მისტეკური ისე სამეკნერო, უნდა მიმეკრდალეკნენ და კიმოეწეიათ მის სულში დიდი ეიხრეგა და ხიგალეარე კოსმიური კრძნობის მინეკება ბარათეშეიდმა დაკეკნატ ლექსში „ეკოთე ტეატრი“

დ. დეკანოზიშვილი

(ეკორძელება იქნება)

ახალი წიგნი

საქართველოს სოციალდემოკრატიულ პარტიის ორგანოს „ხალხის თავისუფლების“ გაზეთის № 1

ვ. გომართელი

საქართველოს ტერიტორიალური

ავტონომია

ანუ

ეროვნულ-ტერიტორიალური

თვითმართველობა

წიგნში მოთავსებული: 1) ავტონომიის ანბანი სოფლის ხალხისათვის; 2) საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია, 3) ტერიტორიალური ავტონომია და კლასთა ბრძოლა (ოთხი წერილი), 4, საქართველოს ავტონომია და საქართველოს ერები, 5) მუშას: 6) სოფლის ხალხს და 7) ავტონომიის სხვა და სხვაობა.

წიგნი შეიცავს 80 გვ. მავთულით შეკინული და ღირს 25 კაპ.

წიგნი მოვაჭრეებს დეეთმობა:
100 ცალი—20 მან,

მსურველთ მიმართონ თბილისში „ხალხის თავისუფლების“ რედაქციაში, ბაზრის ქ. არჯევანიძის სახ. № 20, ალექსანდრეს ღის პირდაპირ, მეწიგნეების რიგზე. ფოსტით; Тифлис, Ред. „Халхис Тависуфлебы“—Іос. Имедашвили.

V წ მიილება ხ ლის მოწ ერა 1917 წლისათვის

თეატრ-სალტერატურო, სამეცნიერო ეკონომიური ეურნალი

თეატრი და ცხოვრება

(წეკდეწედი მეხუთე)

გამოვა სრული პროგრამით

წლიურ ხელის მომწერნი მიიღებენ-ორ პრემიას

„ნაკადულები და ბრძნული ანეკდოტები“ ავტორის სურათებით ფაქსიმილეთი და ბიოგრაფიით.

ვ. ლომთათიძის „რჩეული აზრები“ ავტორის სურათით, ფაქსიმ. და ბიოგრაფიით.

უკვე ცხობილი რედაქციით

ეროვნული პარტიათა ბრძოლა, პროგრესიული მიმართულებისა

ალეულში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი დამოუკიდებელი და ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლები: მგოსნები, კრიტიკოს, მუსიკოსები, მხატვრები

შენალული ფასი ორივე პრემიათ წეკდეწედში დაღრ 8 მან. ნახევარის წლით მან. 50 კაპ. თითო ნომერი ეეკდეკან 15 კაპ ფეკდის შემოტანეს ნაწილ-ნაწილად შეეძლეს: ხელის მოწერის ღრს 3 მ, 1-მაისამდე—3 მ. 1-ელ ენკენისთვეშდე 2 **შელის მოეთეა მიიღება:** თბილისში, „სოროპანის“ **ბაკეკის კანტორაში** (ბალთიეეის ეკუნძეული, № 1, ეორონეკოეის მეორე ბიდის ეეერში). ქალაკ გარეთ ხელის-მომწერთ ფული უნდა გამოეგზანონ შემდეგის მისამართით: **Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“ Іосифу Имедашвили.** ოდდაქტორ-გამომცემელი **იოსეფ იმედაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი ამბები

დ. ჩხარის „მომავალ თეატრის“ ფონდის გა საძლიერებლად ფული გროვდება თვისუფ ლ შემწირველებით.

ახალი პიესები დასწერეს: 1) ფოტხვერაშვილმა „სოციალისტები“, კომედია მუსიკით: 2) ს. პანტურაშვილმა „სული ობოლი 3) იოსებ იმედაშვილმა— „სოფლის მიტინგზე“. სურათები 1 მოკ.

მინა ჯაფარიძე სწერს ახალ პიესას „დეიდა და შვილები“. ქართველ მაჰმადიანთა შესახებ.

უკრაინელ ცნობილი მწერლის ვინიჩენკოს პიესას „შავი პანტერა“-ს სთარგმნის მირ. ხორხელიპიესა ჩვენს ჟურნალში დაიბეჭდება.



ილია ჭავჭავ-ძე სტუდენტობის დროს.

ეუფ-პარიზი

სახალხოს ქუჩა
თავდ-ბაზ. სახლი

ერთად ერთ რესტორან „კაფე პარიზს“ სახაფხულოდ **აქვს ბაღი**, სადაც სუფთა ჰაერზე შეიძლება **საუზმის, სადილს** და **ვახშმის** მირთმევა, არის ცალკე ფანჩატურები და **კაბინეტები. სანოვაე საუკეთესო ღირსებისაა**

პატივისცემით სილ. გოგიბერია.

გამოვიდა

ეგმლგან ისეიდება

ევგენი დვალის

1) **საგიუეში დაწერილი**

სიმღერები

ფასი 40 კაპ.

2) **მწა ე სიმღერები**

ფასი 30 კაპ.

ქართული კლუბი

1 კვირის პროგრამმა

ოკრაბათი—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50

ხუთშაბათი – საოჯახო საღამო

ოთხშაბ. — სინემატოგრაფი. სიმებ. ორკ.

ხუთშაბ —ჯარეთ წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.

პარასკ. —ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30კ-დ

შაბ — საღ.

კვირა — რუსულიწარმოდგენა. ბილეთ50-30კ.

დაქტორ გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

სტამბა „სარჩობანი“